უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 20 0001214796

21/12/2020

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 79 - ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე - 4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა

1. შპს ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში (ს/კ: 405365698) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (სასწავლო უნივერსიტეტი) სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.
2. შპს ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 7 დეკემბრიდან.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის №1214477 სხდომის ოქმი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ



დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია(კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	პოლიტიკის მეცნიერება	ინგლისური	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი (0312)	240	არ აქვს	ვეფხისტყაოსნის ქუჩა N92, თბილისი, 0131, საქართველო
2	ბიზნესი და მენეჯმენტი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (0413)	240	არ აქვს	ვეფხისტყაოსნის ქუჩა N92, თბილისი, 0131, საქართველო
3	ბრიტანეთის კვლევები	ინგლისური	ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი (0388)	120	არ აქვს	ვეფხისტყაოსნის ქუჩა N92, თბილისი, 0131, საქართველო